

მაკროეკონომიკური

პოლიტიკა

ლექცია 9

ლექცია 9.

ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობა საქართველოში 2002-2017 წლებში

(ნაწილი 3)

2003 წლიდან საქართველოში რადიკალური ეკონომიკური (თუმცა ძნელია ამ პროცესს ყოველთვის “ეკონომიკური” ეწოდოს) რეფორმები დაიწყო, ქვეყანა ცდილობდა საბაზრო ეკონომიკის რეგულირების ისეთი ინსტიტუციური ბაზის შექმნას, რომლის მაგვარიც ევროპასა და ამერიკის სახელმწიფოებს ქონდათ. რაც ხშირ შემთხვევაში ჩვენს რეალობაში უბრალოდ სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების მექანიზმების გაუქმებაში გამოიხატებოდა.

საქართველოს სახელმწიფომ სხვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი რეგულაციების გაუქმების პარალელურად უარი თქვა განეხორციელებინა შრომის ბაზრის, კონკურენციის შეზღუდვის, სურსათის უენებლობის და სხვა რეგულაციებზე, რომელთა გაუქმებამ ან შეზღუდვამ მნიშვნელოვნად გააუარესეს ეკონომიკური გარემო. მოსახრება იმის თაობაზე, რომ ეს ყველაფერი ინგესტიციების მოზიდვას ემსახურებოდა და აისახა საქართველოს სხვადასხვა რეიტინგების მაჩვენებელზე, რეალურად ეკონომიკის განვითარებას უამრავი პრობლემა შეუქმნა, რომელთა გამოსწორება ან განეიტრალება მაინც საკმაოდ რთული იქნება და დროშიც სერიოზულად გაიწელება. თუ გაგითვალისწინებთ, იმას, რომ სახელმწიფომ გარდა რეგულირების პირდაპირი ფორმებისა, მკვეთრად შეზღუდა მაკროეკონომიკური რეგულატორების ფუნქციონირებაც, სურათი კიდევ უფრო მძიმდება.

2004 წლიდან გაუქმდა საგზაო ფონდი, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტისა და ფოსტის სამინისტრო, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო, საგარეო გაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახური, მცენარეთა დაცვის სამსახური, მეცხოველეობისა და სანაშენე საქმის დეპარტამენტი, ძვირფასი ქვებისა და ლითონების დეპარტამენტი, დასაქმების სახელმწიფო სამსახური, “საქსტანდარტი”, კვების პროდუქტების ხარისხის ინსპექცია, ფიტოსანიტარული კონტროლი, ტრანსპორტის მარეგულირებელი კომისია. გამარტივდა მშენებლობის პროცედურები.

მნიშვნელოვნად შემცირდა იმ საქმიანობათა ჩამონათვალი, რომელიც ლიცენზირებას მოითხოვდა. კერძოდ საქმიანობათა ასეთი 900 დასახელებიდან დარჩა მხოლოდ 114.

გაუქმდა ზომისა და წონის კონტროლი, ვეტერინარული საქმიანობის ლიცენზია და ნებართვა, პესტიციდების წარმოების და ვაჭრობის ლიცენზია, წინასარეისო სამედიცინო შემოწმება და ა.შ.

პრაქტიკულად დერეგულირებულია ფარმაცევტული პროდუქციით საბიოუმო ვაჭრობა. გაუქმდა საავიაციო გადაზიდვებში პროტექციონისტული ნორმა, რომელიც ქართული და უცხოური კომპანიების პარიტეტს ითვალისწინებდა.

თუ საქართველოში 2003-2008 წლებში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების ანალიზს ჩავატარებთ, ნათლად გამოჩნდება, რომ აღნიშნული ცვლილებების მიზანი ეკონომიკის სრული დერეგულირებაა. საქართველოს კანონმდებლობა, მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად ეკროპულ ორიენტაციას აღიარებს, აბსოლუტურად საპირისპიროდ ვითარდება. ამის საუკეთესო მაგალითად გამოდგებოდა საქართველოს შრომის კანონმდებლობა, რომელიც აგებული იყო დამქირავებელთა უფლებების პრიმატის აღიარებით და პრაქტიკულად მინიმუმადე იყო დაყვანილი დასაქმებულთა ინტერესები. საქართველოს ხელისუფლებამ რეალურად უარი თქვა არა მარტო თავად დაეცვა დასაქმებულთა ინტერესები, არამედ რეალურად დასაქმებულებს საკუთარი უფლებების დაცვის ელემენტარული შესაძლებლობაც წაართვა, რამეთუ კანონმდებლობით, დამსაქმებელს უფლება ქონდა ნებისმიერ დროს, ყოველგვარი მიზეზის გარეშე გაეთავისუფლოს დასაქმებული.

ცხადია, შრომის ბაზარი სულაც არ არის გამონაკლისი, და სხვა ბაზრებზე ანალოგიური ვითარება იყო.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში საბაზრო ეკონომიკის რეგულირების ინსტიტუტების ჩამოყალიბება დაიწყო¹. ერთ-ერთი წარმატებული ინსტიტუტი, რომელსაც ბაზრის ანალიზი და მასზე საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტის გამოჩენის შემთხვევაში მისი ძალაუფლების ან განეიტრალება ან იმგვარ ჩარჩოებში მოქცევა უნდა მოეხდინა, რომ მომხმარებელთა და ბაზრის სხვა მონაწილეთა უფლებები არ დარღვეულიყო. ცხადია, საუბარი ანტიმონოპილიურ კანონმდებლობასა და მის ბაზაზე შექმნილ ანტიმონოპოლიურ სამსახურს შეეხება. უნდა აღინიშნოს,

¹ იხ. ს. ფეტელვა, კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბილისი, ლოი, 2007.

რომ ანტიმონპოლიური სამსახური მსოფლიო ბანკის, აშშ მთავრობის, ევროპული სახელმწიფოების მატერიალური, მეთოდური, ფინასური დახმარებით შეიქმნა.

2005 წელს, “ვარდების რევოლუციის” შემდგომ პერიოდში სწორედ ანტიმონპოლიური სამსახური აღმოჩნდა ის პირველი სერიოზული სტრუქტურა, რომელიც გაუქმდა. გაუქმდა არა მხოლოდ სამსახური, არამედ მთელი კანონმდებლობა და მის ნაცვლად ამავე წელს შეიქმნა “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონი”, რომელიც სულ 16 მუხლისგან შედგება და შეიქმნა შესაბამისი სამსახური. საინტერესო ისაა, რომ ანტიმონპოლიური სამსახურის გაუქმების მიზნად ბაზარზე კონკურენციისათვის ხელშეწყობა დასახელდა. არგუმენტი კი იყო ის, რომ მონოპოლია ინვესტორისათვის სიგნალია, რომ დარგი მომგებიანია და ისინი (ინვესტორები) სწორედ ამგვარ დარგებში განათავსებენ ინვესტიციებს.

“თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” კანონი, რომლის ძირითად მიზნად მიჩნეულია ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ბარიერების მოხსნა, ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული წინააღმდეგობების აღკვეთა, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან დისკრიმინაციული ბარიერების არსებობის აღკვეთა. ამ მიზნიდან გამომდინარეობს, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბაზარზე შესვლას სახელმწიფო უშლის, ხოლო ბაზარზე შესვლის სხვა თუნდაც ხელოვნური ბერკეტები არ არსებობს. სამწუხაროდ, ბიზნესში კონკურენცია ხშირად სცილდება ჰარმონიის ჩარჩოებს, მაგრამ ეს პროცესები სახელმწიფოს მხრიდან კონტროლისა და რეგულირების გარეშე რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ აღიარებს საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტების სახელმწიფოს დახმარების გარეშე წარმოქმნის შესაძლებლობას, კანონში მაინც “გაიპარა” ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ვალდებულებას იღებს დაიცვას “რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში საზოგადოების სასიცოცხლო და ეკონომიკური ინტერესები”. შესანიშნავია, მაგრამ გარდა რეგულირებადი სფეროებისა, ეკონომიკის აბსოლუტურად დიდი ნაწილი დერეგულირებულია, შესაბამისად, სახელმწიფო უარს ამბობს ამ სფეროებში სახელმწიფოს ან საზოგადოების ეკონომიკური ან სასიცოცხლო ინტერესები დაიცვას, იმ ფონზეც კი, როდესაც ასეთ სფეროებში კონკურენცია შეზღუდულია. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ზოგადად კანონი მონოპოლიურ საქმიანობად სახელმწიფოს

ქმედებებს აღიქვამს. ამდენად, ცხადია სახელმწიფო საკუთარ თავს ვერ გაუწევს კონტროლს.

2014 წლის 21 მარტს საქართველოს პარლამენტმა “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” კანონში ცვლილებები შეიტანა, რის შედეგადაც კონკურენციის სააგენტოს როლი და ფუნქციები მნიშვნელოვნად გაიზარდა. კონკურენციის სააგენტოს უფლება აქვს დაიწყოს ბაზრის ნებისმიერი სეგმენტის გამოკვლევა, იმ შემთხვევაში თუ არსებობს ამ სფეროში კონკურენციის შეზღუდვის ნიშები.

სამწუხაროდ, 2004-2005 წლებში საქმე მხოლოდ ანტიმონპოლიური სამსახურის გაუქმებას არ შეეხო. “ვარდების რევოლუციის” შემდეგ ხელისუფლების სამიზნე ეროვნული ბანკიც გახდა.

თუ დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური ინსტიტუტების განვითარების ისტორიას გადავხედავთ, ნათლად ჩანს, რომ ამ პერიოდისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მარეგულირებელი ინსტიტი იყო. სამწუხაროდ, საქართველოში საკმაოდ აქტიურად განიხილებოდა ამ სფეროს აბსოლუტური დერეგულირების შესაძლებლობა, იმ დონეზეც კი, რომ საუბარი ე.წ. “სავალუტო ფარის” ან “სავალუტო საბჭოს” შექმნას შეეხებოდა, რაც ეროვნული ბანკის ფუნქციების მინიმიზებას და რეალურად მხოლოდ ვალუტის გაცვლითი კურსის შენარჩუნებას გულისხმობდა. საბოლოოდ, მიღწეულ იქნა ის, რომ ეროვნული ბანკის მიერ საბანკო სისტემის მონიტორინგისა და ანალიზისა, ეროვნული ბანკის ერთადერთ ფუნქციად ინფლაციასთან ბრძოლა გამოაცხადდა და თან ისე, რომ ინფლაციის მაჩვენებლის გადაჭარბების შემთხვევაში ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა. სინამდვილეში ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონის შესაბამისად, ეროვნული ბანკი დამოუკიდებელი სტრუქტურაა, რომლის პრეზიდენტს ირჩევს ბანკის საბჭო და მას პოლიტიკური იმუნიტეტი იცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბანკის პრეზიდენტი ხელშეუხებელია და მისი თანამდებობიდან გათავისუფლება მხოლოდ გარკვეული პირობების მკაცრი დაცვითაა შესაძლებელი. საბოლოოდ ხელისუფალთა მხრიდან უხეში ჩარევის შედეგად, ინსტიტუციურად და ადამიანური რესურსების მხრივ საკმაოდ დასუსტებულმა ეროვნულმა ბანკმა ვერ განახორციელა ის ფუნქციები, რომელიც ქვეყანაში მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას უზრუნველყოფდნენ და შედეგად მივიღეთ რამდენიმე საკმაოდ სერიოზული უარყოფითი შედეგი. პირველი, საქართველო საბანკო

კრიზისის წინაშე აღმოჩნდა, რაც შესაძლოა, როგორც იპოთეკური დაკრედიტების კრიზისის ფონზე განვიხილოთ. ბანკები, ყოველგვარი ნორმატივების მკაცრად დაცვის გარეშე, იძლეოდნენ იპოთეკურ და სამომხმარებლო სესხებს, ხოლო იმის გამო, რომ სესხები არ იყო სათანადოდ უზრუნველყოფილი, უკვე გასული წლის გაზაფხულზე დაიწყო არგადახდების პრაქტიკა, რამაც ბანკების ლიკვიდურობაზე უარყოფითად იმოქმედა და რაც მთავარია მათი დაკრედიტებისუნარიანობა მკვეთრად შეამცირა. შესაბამისად, შემცირდა ბიზნესის დაკრედიტება, დაიწყო ბიზნესაქტიობების შესუსტება, სამუშაო ადგილების შემცირება და ბანკები “მოჯადოებულ წრეში” აღმოჩნდნენ. შესაბამისად, 2008 წელი საქართველოში მოქმედმა პრაქტიკულად ყველა საბანკო დაწესებულებამ სერიოზული ზარალით დაასრულა. გაიზარდა საპროცენტო განაკვეთი (მიუხედავად ინფლაციის შედარებით დაბალი ტემპებისა) და შედეგად ეკონომიკის დაკრედიტება კიდევ უფრო შემცირდა. ცხადია, ეს მხოლოდ იმის ბრალი არაა, რომ ეროვნული ბანკი, ვერ ახდენდა ბანკების საქმიანობის კონტროლს, მაგრამ შედეგები შესაძლოა ნაკლებად მტკიცნეული ყოფილიყო, ბანკი რომ თავის სიმაღლეზე დარჩენილიყო, და მთავრობისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკა გაეტარებინა.

დერეგულირება შეეხო სურსათის უვნებლობის სფეროს. იმ მოტივით, რომ ეს სფერო კორუფციული გარიგებების სფერო იყო, ნაცვლად კორუფციასთან ბრძოლისა, გაუქმდა სახელმწიფოს ფუნქცია, ებრძოლოს ფალსიფიკაციას და უხარისხო სურსათს.

გარკვეული სამუშაოები იქნა გაწეული საგარეო გაჭრობის გააქტიურების კუთხით. 2003-2004 წლებში ევროკომისიამ შეიმუშავა ევროკავშირის ახალი საგარეო პოლიტიკის მიმართულება – ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, რომლის მიზანი იყო გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის ახალი გამყოფი ხაზების თავიდან აცილება და გამყოფი ხაზების ნაცვლად ყველასთვის კეთილდღეობის, სტაბილურობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. 2004 წლის 14 ნოემბერს საქართველოს ჩართვა ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (ENP) მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობებში (მ.შ. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კუთხით). აღნიშნული შეთანხმება საქართველოსთვის ძალაში 2006 წლის 14 ნოემბერს შევიდა.

2005 წლის დეკემბერში ევროკავშირმა საქართველოს პრეფერენციების ზოგადი სისტემით (GSP+) სარგებლობის უფლება მიანიჭა. GSP+ საქართველოდან

ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლებას და ტარიფების ცალმხრივად შემცირებას ითვალისწინებს.

ევროკავშირის პრეფერენციების განზოგადებული სისტემა GSP, GSP+ გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მიერ იქნა შემუშავებული, რომლის მიხედვითაც განვითარებულმა ქვეყნებმა სავაჭრო შეღავათები უნდა მიანიჭონ განვითარებად ქვეყნებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყანა, ისედაც სარგებლობს შეღავათებით, GSP+ პრეფერენციული ტარიფები უფრო მნიშვნელოვან შეღავათებს ანიჭებს. ამასთან, მნიშვნელოვანია საქონლის წარმოშობის განსაზღვრის მექანიზმების გამართული მუშაობა, რათა პრეფერენციული სისტემით არ ისარგებლოს რეალურად სხვა ქვეყანაში წარმოებულმა საქონელმა.

დღეისათვის, თეორიულად საქართველოში წარმოებული 7200 დასახელების პროდუქციაზე ვრცელდება პრეფერენციები, რომელთაგან, სამწუხაროდ მხოლოდ 30–მდე შეღავათს ვიყენებთ რეალურად.

2005 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსი, კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად 2004 წელს არსებული 21 გადასახადიდან შენარჩუნდა მხოლოდ 6 სახის გადასახადი. მაგალითად გაუქმდა ისეთი გადასახადები, როგორიცაა “გადასახადები მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის”, “გადასახადები ქონების გადაცემისათვის”. დარჩენილი გადასახადებიდან ხუთი საერთო სახემწიფოებრივ გადასახადს მიეკუთვნება და ერთი ადგილობრივ გადასახადია.

1. საშემოსავლო გადასახადი – 20%
2. დღგ – 18%
3. მოგების გადასახადი – 15%
4. აქციზი – განაპვეთი დიფერენცირებულია
5. საბაჟო გადასახადი – განაპვეთი დიფერენცირებულია (0%, 5% ან 12%)
6. ქონების გადასახადი – არაუმეტეს ქონების დირებულების 1%-სა (ადგილობრივი გადასახადი)

საქართველოს საგადასახადო კოდექსით ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა გადასახადების გადამხდელთა საგადასახადო ტვირთი გადასახადების განაკვეთების

შემცირების ხარჯზე, მაგალითად 2005 წლის 1 ივლისიდან დღგ-ს საგადასახადო განაკვეთი 20%-დან 18%-მდე შემცირდა, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 20%-დან 12%-მდე, ხოლო სოციალური გადასახადები ჯამში 33%-დან 20%-მდე მოგვიანებით საშემოსავლო და სოციალური გადასახადების გაერთიანების ხარჯზე შემოდებულ იქნა ერთი საშემოსავლო გადასახადი ჯერ 25%-იანი, ხოლო 2009 წლის 1 იანვრიდან 20%-იანი განაკვეთით.

2016 პირველი ივნისიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში მორიგი ცვლილებები შევიდა, რომელიც მოგების გადასახადის ოფორმას და საგადასახადო აღმინისტრირების გამარტივებას ემსახურება. ცვლილებების თანახმად, საგადასახადო დავის პერიოდში საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება მოხდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, დღგ-თი დასაბეგრ ოპერაციებში გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებების იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ს თანხის გადახდისგან. ესტონურ მოდელზე გადასვლით მოგების გადასახადის გადახდა საწარმოების მიერ მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიიდან ეს მოგება გავა, ხოლო რეინგესტირებულ თანხებზე მოგების გადასახადი არ დაწესდება. საგადასახადო ცვლილებების მნიშვნელოვანი მომენტია საგადასახადო ამნისტია.

რაც შეეხება შრომის ბაზარს, 2004 წლამდე აღნიშნულ სფეროში შემდეგი მდგომარეობაა: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში არსებობს შრომისა და დასაქმების დეპარტამენტი, რომელიც პოლიტიკას იმუშავებს აღნიშნულ სფეროში. ამ პოლიტიკის განმახორციელებელია დასაქმების საჯარო სამსახური, რაც უმთავრესად უმუშევრობის შემწეობის მინიმალური რაოდენობით გაცემაში გამოიხატებოდა.

2004 წლის 29 დეკემბრის საპარლამენტო დადებუნილებით ცვლილება შევიდა “დასაქმების შესახებ აქტში”, რომლის საფუძველზეც შეიქმნა “დასაქმებისა და სოციალური დახმარების სააგენტო”. ამ უკანასკნელმა ჩაანაცვლა დასაქმების საჯარო სამსახური. ახლადშექმნილი სააგენტოს მთავარი ფუქნციაა მიზნობრივი სოციალური შემწეობების აღმინისტრირება, რომელიც მთავრობამ 2003 წელს დანერგა მსოფლიო ბანკის დახმარებით. მიზნობრივი სოციალური დახმარებების პროგრამის შემოდებამ შეამცირა დასაქმების პროგრამის დაფინანსებისათვის საჭირო ბიუჯეტი. ამასთანავე, სოციალური დახმარებების მიმღებთა უმეტესობა უმუშევარი იყო, შესაბამისად გადაწყდა უმუშევართა შემწეობების გაუქმება. მდენად, სოციალური

პოლიტიკის ორი ინსტრუმენტი: სოციალური დახმარება და უმუშევრობის შემწეობა ერთ სქემაში გაერთიანდა.

მომდევნო ეტაპზე მთავრობის მიერ აღებულ იქნა კურსი შრომის ბაზრის თვითრეგულირებაზე და სახელმწიფოს ჩაურევლობაზე. საქართველოს ახალი შრომის კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით გაუქმდა კანონები „დასაქმების შესახებ“, „კოლექტიური შრომითი დავის მოწესრიგების წესის შესახებ“, „კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ“,² გაუქმდა „სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფი სააგენტო“ და მის ნაცვლად შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „სოციალური სუბსიდიების სააგენტო“. სააგენტოს საქმიანობას მთლიანად აკონტროლებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ამ უკანასკნელის კონტროლს ექვემდებარება კიდევ ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“. სამინისტროს მმართველობის სფეროს დაექვემდებარა „ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო“, ხოლო მის სტრუქტურულ ქვედანაყოფად ჩამოყალიბდა – სოციალური დაცვის დეპარტამენტი³. 2007 წელს დამტკიცდა დასაქმების სახელმწიფო პროგრამა, პროგრამის რეალიზაცია დაევალა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად.

2012 წელს დასაქმების სახელმწიფო მინისტრის აპარატი შეიქმნა, რომლის ძირითადი ამოცანები იყო უმუშევრობასთან ბრძოლის კონცეფციისაა და სტრატეგიული გეგმის შემუშავება, უმუშევრობის დაძლევის მიზნით ბიზნეს სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა, დასაქმების სფეროში პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის მიზნით სამეცნიერო-აკადემიურ წრეებთან და სამქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა და აშ. თუმცა აპარატმა ვერ უზრუნველყო დასახული მიზნის, ძირითადი ამოცანებისა და აღნიშნული ფუნქციების რეალიზაცია და მიღებულ იქნა შესაბამისი დადგენილება

²საქართველოს კანონი №3112, 25.05.2006წ. „საქართველოს შრომის კოდექსი“.

³საქართველოს მთავრობის დადგენილება №249, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დეპულების დამტკიცების შესახებ“, 31 დეკემბერი 2005წ.

მისი ლიკვიდაციის თაობაზე. 2015 წლის დასაწყისიდან მთავრობა სერიოზულ ყურადღებას უთმობს შრომის ბაზრის მოთხოვნის კვლევას, შრომის ბაზრის ერთიანი საინფორმაციო სისტემის განვითარებას და შესაბამისად ამუშავებს საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიასა და მისი რეალიზაციის სამოქმედო გეგმას 2015-2018 წლების პერიოდში⁴. მათ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ საქართველოში, ცივილიზებული შრომის ბაზრისა და მისი შესაბამისი ინფრასტრუქტურის ფორმირებაში, სოციალურ შრომითი ურთიერთობების განვითარებაში. შრომის ბაზარზე დასაქმებულთა უფლებების დაცვით კუთხით გარკვეული ცვლილებები შეინიშნება, მაგალითად, 2016 წლის საქართველოს მთავრობის № 627 დადგენილებით დამტკიცდა შრომის პირობების ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია დაეხმაროს დამსაქმებელს შრომის უსაფრთხოების ნორმებით გათვალისწინებული პირობების უზრუნველყოფაში.

1995-2003 წლებში, მიუხედავად მართლაც წარმატებული ფულის რეფორმისა, რომლის შედეგადაც ლარმა შეძლო და მიმოქცევიდან განდევნა ერთდროულად სამი ვალუტა: ეროვნული ბანკის კუპონი, რუსული რუბლი (რომელიც გამოიყენებოდა დაბალ- და საშუალოფასიანი ნივთების ფასების დასადგენად და შესაძენად) და დოლარი (რომელსაც ძვირადღირებული საგნების ლირებულების გაზომვისა და შეძენის ფუნქცია ჰქონდა). მიუხედავად ამისა, ლარმა ვერ შეძლო კუპონის მიერ შელახული ნდობის სრულად დაბრუნება. ბიზნესი მთლიანად დოლარზე დარჩა მიბმული, რასაც ადასტურებდა საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის კოეფიციენტი, რომელიც ბოლო პერიოდამდე საკმაოდ მაღალი რჩება.

2003 წლის დასაწყისში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 98% აშშ დოლარში იყო, მიუხედავად იმისა, რომ დოლარი თმობს საქართველოში (ისევე როგორც მთელ მსოფლიოში) პოზიციებს, უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 79% დღესაც აშშ დოლარშია.

საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის კოეფიციენტი დაახლოებით 65%-ია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ლარი სრულყოფილად ვერ ასრულებს ფულის ფუნქციებს. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ საქართველოს ეკონომიკაში განხორციელდა საერთაშორისო ვაჭრობის სრული ლიბერალიზაცია, რაც აისახა

⁴საქართველოს მთავრობის დადგენილება №732 „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიასა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 26 დეკემბერი.

იმაში, რომ ხელისუფლებას საგარეო ეკონომიკურ პროცესებზე ზეგავლენის არცერთი პირდაპირი მექანიზმი აღარ დარჩა. ეკონომიკური რეფორმების პირველივე წლებში გაუქმდა არასატარიფო ბარიერები, ხოლო ვარდების რევოლუციის შემდეგ რეალურად გაუქმდა სატარიფო ბარიერებიც და საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ლიბერალური საგარეო-ეკონომიკური რეჟიმის მქონე ქვეყანად იქცა. შესაბამისად, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებისათვის ერთადერთ ქმედით ინსტრუმენტად სწორედ გაცვლითი კურსი რჩება. ამასთან, საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი დონის გამო, გაცვლითი კურსი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საერთაშორისო ვაჭრობისათვის, არამედ ქვეყანაში შიდა ტრანზაქციებისათვისაც.

სამწუხაროდ, მიუხედავად ლარის მიმართ დოლარის კურსის ცვალებადობისა, საქართველოში სერიოზული კონტრაქტები პრაქტიკულად ისევ მხოლოდ დოლარში ფორმდება. თუმცა, ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე აქცენტს მხოლოდ საერთაშორისო ვაჭრობაზე გადავიტანო. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში დოლარი გამოიყენება არა მხოლოდ აშშ-სთან, არამედ ძალიან ბევრ ქვეყანასთან ურთიერთობაში. მით უფრო, რომ მსოფლიო ბაზრებზე დოლარში ხდება ნავთობის, ხორბლის ფასების კოტირება. რეალურად, ფონი, რომელშიც საქართველოს ეკონომიკა ვთიარდება, საკმაოდ რთულია. როულია არა მხოლოდ დაბაბული რუსულ-ქართული ურთიერთობების გამო, არამედ იმის გამოც, რომ აშშ დოლარი, რომლის მნიშვნელობაზე ზემოთაც გვქონდა საუბარი, თმობს პოზიციებს მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე.


2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ მსოფლიო ფინანსურ წრეებში ხშირი იყო დოლარის დასუსტების პროგნოზები, რაც პირველად ხმამაღლა რუსულ ბიზნეს- და სამეცნიერო წრეებში გახმოვანდა⁵. საქართველოს ხელისუფლება, როგორც ჩანს დოლარის კრახის რუსული სცენარს სერიოზულად არ აღიქვავდნენ. რადგან, მიუხედავად გაფრთხილებისა, ეკონომიკის დოლარიდან სხვა, თუნდაც უცხოურ ვალუტაზე გადაწყობის პროცესი არც კი დაწყებულა და როგორც მანამდე, ისე მის შემდეგაც, საქართველოს ეკონომიკა არაოფიციალურად დოლარზეა მიბმული. იმ პერიოდში, რომ რუსული სცენარის გახმაურების შემდეგ, ქართულ ეკონომიკურ

⁵ დაწვრილებით იხილეთ, პაპავა ვ. “პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა”, თბილისი, თსუ, 2005. გვ. 314-322; პაპავა ვ., ჩოჩელი ვ., “ახალი ეკონომიკა”, გლობალური ეკონომიკური კრიზისის რუსული სცენარი და საქართველოს ეკონომიკური სტრატეგია. წიგნში “საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბილისი, მეცნიერება, 2003.

ლიტერატურაში გაჩნდა შეთავაზება ეროვნული ბანკის რეზერვების და მის შესაბამისად, დეპოზიტების დივერსიფიკაცია განხორციელებულიყო, რომლის ერთ-ერთ შესაძლო, ალბათ ოპტიმალურ ვარიანტად SDR-ის კალათა სახელდებოდა, რომელიც სხვადასხვა ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის შეწონილი მაჩვენებლების მიხედვით გაიანგარიშება. სამწუხაროდ, ეს რეკომენდაცია არ იქნა გაზიარებული, რამაც დოლარებში განხორციელებული დეპოზიტების მფლობელები სერიოზულად დააზარალა.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი არ არის მხოლოდ მონეტარული ფაქტორი, რომელიც ეკონომიკის განვითარების თავისებურებებს განსაზღვრავს. რეალურად, ხელისუფლება პროგნოზირებისა და რეგულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის გარეშე რჩება, როდესაც ეროვნული ვალუტის სამოქმედო არეალი შეზღუდულია. მით უფრო, როდესაც ხელისუფლების მიერ მიმოქცევაში არსებული ვალუტის მოცულობით მანიპულირება, დღეისათვის მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ქვაკუთხედად რჩება.

2003 წლის ნოემბერში მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის რაოდენობა 460 მლნ. ლარამდე გაიზარდა. 2007 წლის დეკემბერში მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობამ 1,3 მლრდ. ლარს გადააჭარბა, რასაც, ერთი შეხედვით, გაცვლითი კურსის დაცემა უნდა გამოეწვია, თუმცა მოხდა პირიქით, 2004 წლის დასაწყისიდან ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ამაღლების შეუქცევადი პროცესი მიმდინარეობდა, რასაც შესაძლოა ანტიინფლაციური დატვირთვაც ქონდეს. თუმცა, ამაღლების ამგვარმა ტემპებმა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ისედაც დეფიციტური საგადამხდელო ბალანსი.




ცხრილი 2. აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი 1995-2008 წლებში.

ცხრილებიდან ნათლად ჩანს, რომ ეროვნული გალუტის გაცვლითი კურსი მკვეთრად მაღლდება აშშ დოლარის მიმართ და შედარებით სტაბილურია ევროს მიმართ. თუმცა, თუ 2003 წლის ნოემბერში 1 ევროში 2,61 ლარის მიღება შეიძლებოდა, 2005 წლის ნოემბერში კურსი 2,11 ლარამდე, ანუ 20%-ით ამაღლდა. შემდეგ ევროს მიმართ ლარის გაცვლითი კურსის შემცირების პროცესი დაიწყო და 2008 წლის

მარტში 2,33 ლარი შეადგინა, მაშინ როდესაც მარტის ბოლოს დოლარის გაცვლითი კურსი 1,44 ლარამდე დაეცა.


რასაკვირველია, კურსის ამგვარ, მეტად სერიოზულ რყევას არ შეიძლებოდა მაკროეკონომიკურ გარემოზე თავისი ზეგავლენა არ მოეხდინა. განსაკუთრებით კი ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობაზე. მე-3 ნახაზიდან აშკარად ჩანს, რომ თუ 1995 წელს იმპორტის ექსპორტით გადაფარვის მაჩვენებელი 32% იყო, რომელიც 2000 წლისათვის 46% მდე გაიზარდა, დღეისათვის 23%-მდეა შემცირებული.

1995 წლიდან 2007 წლამდე ექსპორტის მოცულობა 8-ჯერ გაიზარდა, იმპორტისა კი 11-ჯერ. თუ ამას დავუმატებთ, რომ ნომინალური მშპ იმავე პერიოდში 3,9 მლრდ. ლარიდან 17 მლრდ ლარამდე, ანუ 4,36-ჯერ გაიზარდა, ხოლო რეალური მშპ მხოლოდ 2,1-ჯერ გაიზარდა, ადვილი შესამჩნევია, რომ ვალუტის გაცვლითი კურსის ამაღლებამ საგადამხდელო ბაზანსის მკვეთრი გაუარესება გამოიწვია.



ნახაზი 3. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 1995-2007 წლებში (მლნ. აშშ დოლარი).

სამწუხაროდ საქართველოში ინფლაციის დამარცხება აღნიშნულ პერიოდში ვერ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ იმპორტი იაფდება და ამასთან იმპორტის ხვედრითი წილი მოხმარებაში იზრდება, რასაც თან დაერთო საბაჟო გადასახადის გაუქმება, დღგ კი 20%-დან 18%-მდე შემცირდა, ფასების სტაბილიზაცია სერიოზულ პრობლემად რჩება.



ნახაზი 4. წლიური ინფლაცია 1996-2008 წლებში.

2008 წლისათვის საქართველოს მთავრობა სერიოზულ განაცხადს აკეთებს, რომ იგი შეეცდება მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას შეუწყოს ხელი და ინფლაცია მოთოვოს. საქართველოს მთავრობამ გამოაქვეყნა “ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2009-2012 წლებისათვის”⁶, რომლის თანახმადაც 2008 წელს ინფლაცია 8%-ის დონეზე უნდა შენარჩუნდეს, 2009 წელში ინფლაცია 9% იქნება, ხოლო შემდეგ საპროგნოზო წლებში 8,5, 8 და 7 პროცენტი იქნება, რაც თავისთავად უკვე მაღალი მაჩვენებლებია.

როგორც ჩანს, ხელისუფლებისათვის მონეტარული ინსტრუმენტები, რომლებიც ამ მიზნის (ინფლაციის დაბალი ტემპები) მისაღწევად შეიძლება იყოს გამოყენებული, არცთუ ისე სანდოა. რაც დღის წესრიგში სხვა ინსტრუმენტების გამოყენების აუცილებლობას აყენებს. მათ შორის ალბათ უმთავრესი გაცვლითი კურსია. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოხმარების დიდი ნაწილი იმპორტით იფარება, გასაგებია, რომ ვალუტის კურსით სამომხმარებლო ფასების შეკავება აბსოლუტურად

⁶ ინიციატივა საქართველოს პარლამენტის ფინანსურულ კებ-პორტალზე www.parliament.ge.

რეალურია, თუმცა მეორეს მხრივ ეს ექსპორტის გაძვირებას და შესაბამისად საგადამხდელო ბალანსის კიდევ უფრო გაუარესებას გამოიწვევს. დოლარიზაციის მაღალი დონე ქვეყანაში ბოლო პერიოდშიც პრობლემად რჩება. ლარის ბოლოდროინდელმა გაუფასურებამ ხელისუფლებას უბიძგა გარკვეული ნაბიჯები გადაედგა ეკონომიკის დედოლარიზაციისაკენ და 2016 წელს შემუშავდა ე.წ. “ლარიზაციის გეგმა”.

2004 წლიდან ლიბერალიზმი ოფიციალურადაა დეკლარირებული, როგორც ქვეყნის განვითარების მთავარი იდეოლოგიური ბაზისი. ლიბერალიზმის ქვაკუთხედი კერძო საკუთრება, მისი ხელშეუხებლობაა. თუ ამ თეზას მივყვებით, ვნახავთ, რომ საქართველოში ყველაფერი, რბილად რომ ვთქვათ რიგზე არაა. “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, ისე როგორც ზოგადად რევოლუციების შემდეგ ხდება ხოლმე, ქონების გადანაწილება დაიწყო. პრივატიზაციის პარალელურად აქტიურ ფაზაში შევიდა ფარული ნაციონალიზაციის პროცესი, მესაკუთრები ერთი მეორის მიყოლებით “ჩუქნიდნენ” სახელმწიფოს როგორც უძრავ-მოძრავ ქონებას, ისე საქართველოში არსებული საწარმოების წილებს. გარდა ამისა, არც თუ იშვიათად ხდებოდა უძრავი ქონების პირდაპირი ექსპროპრიაცია, და შემდეგ, “ხედის დამახინჯების” ბრალდებით მათი დანგრევა (გასაგებია, რომ ამდაგვარი ლონისძიებები ხორციელდებოდა მხოლოდ თბილისი ცენტრში და შავიზღვისპირა ზოლში). შემდეგ ხდებოდა ნაჩუქარი, ან ჩამორთმეული ქონების ძირითადად უცხოელ ინვესტორებზე ხელახალი პრივატიზაცია უკვე გაცილებით მაღალი ფასით.

“პოსტრევოლუციური” პრივატიზაციის პროცესის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს მისი ნაკლებამჭვირვალობა (რითაც დაირღვა ლიბერალიზმის ერთი მნიშვნელოვანი პირობა „შესაძლებლობის თანასწორობა“) და ხშირ შემთხვევაში კულუარული, არცთუ მთლად კანონიერი გარიგებების საფუძველზე ხდებოდა სახელმწიფო ქონების გასხვისება.

პრივატიზაციის პროცესის ნაკლოვანებებზე საუბრისას, არ შეიძლება ყურადღება საქართველოს სახელმწიფო საკუთრების უცხო სახელმწიფოთა საკუთრებაში გადაცემაზე არ გამახვილდეს, რასაც რთულია ზოგადად პრივატიზაცია ეწოდოს. პრივატიზაცია თავისი არსით სახელმწიფო ქონების კერძო სექტორისათვის გადაცემას გულისხმობს. საქართველოს სახელმწიფომ თავად კი შეიზღუდა ეკონომიკური ფუნქციები, მაგრამ სახელმწიფო საკუთრების სერიოზული ნაწილი “პრივატიზაციის” ფორმით სხვა სახელმწიფოთა ქონებად გარდაიქმნა. დღეს

საქართველოში სახელმწიფო ქონებას ფლობს რუსეთი, ყაზახეთი და სხვა სახელმწიფოები. შესაბამისად, ამ პირობებში სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური გარემოს ლიბერალიზაციაზე საუბარი ზედმეტია, რადგან ქართულ სახელმწიფოს არანაირი ბერკეტი არა აქვს შეზღუდოს თუნდაც რუსული სახელმწიფოს ჩარევა ქართულ ეკონომიკაში, მით უფრო, რომ რუსეთი, რომელთანაც საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობებიც კი არ აქვს, ფლობს ენერგეტიკის სფეროს უმნიშვნელოვანეს ობიექტებს.

თუმცა, ის რაც 2007 წელს, ნოემბრის შემდეგ დაიწყო საქართველოს ეკონომიკაში, საერთოდ ამოვარდა “ლიბერალიზმის” კურსიდან. ხელისუფლებას მოუწია მძიმე პოლიტიკური ფონის რამენაირად განეიტრალებისათვის ეკონომიკური პოლიტიკის რადიკალური ცვლილება. ამას თან დაერთო რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, რამაც ცხადია ეკონომიკურ პოლიტიკაში წინა პლანზე წამოწია სოციალური ფაქტორი და არც-თუ იშვიათად პოპულისტური ნაბიჯები იქნა გადადგმული. ხელისუფლებამ დაიწყო მანამადე არაპრობირებული, და აბსოლუტურად არაეფექტიანი დასაქმების პოლიტიკის განხორციელება. საქართველოსათვის უმუშევრობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა, 2009 წლის სოციალური კვლევებით მის სიმწვავეს საქართველოს მოსახლეობა პირველ ადგილზე აყენებს, და მხოლოდ მის შემდეგ თვლიან პრობლემად ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. ცხადია, ხელისუფლება გამოიყენებდა ამ ფაქტორს, თუმცა თუ იმ პერიოდში (2007 წლის ბოლოს) უმუშევრობის დონე დაახლოებით 13,5% იყო, დღეისათვის უმუშევრობა 17%-ს უახლოვდება. მაგრამ მთავარი მაინც “დასაქმების პროგრამების” განხორციელების ფორმა იყო. ხელისუფლებამ 100 ათას ადამიანს, რომელიც იშვიიდა დროებით სამსახურს “სტიპენდიის” სახით 3 თვის განმავლობაში მიიღებდა შრომის ანაზღაურებას. ამას თან დაერთო ვაუჩერები ბუნებრივ გაზზე, ელექტროენერგიაზე, შეშაზე, წამლებზე და ბოლოს ჩვენი საზოგადოების ყველაზე შეჭირვებულმა წევრებმა საჩუქრად საახალწლოდ მიიღეს ღვინო, ციტრუსი, ხილი და კანფეტები.

ლიბერალიზმის საფარქვეშ რამდენიმე სერიოზული ინსტიტუციური ცვლილებაც განხორციელდა, რომლებმაც თავის უარყოფითი როლი შეასრულეს საქართველოს ეკონომიკის განვითარების შეფერხების საქმეში. ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე მათგანზე. ესაა შრომის და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობების ფაქტობრივი გაუქმება და ეროვნული ბანკის დასუსტება და

პარალელურად ლარის, როგორც ერთადერთ საგადამხდელო საშუალებაზე შეტევა განხორციელდა.

კიდევ ერთხელ გვიწევს იმის კონსტატირება, რომ ლიბერალიზმი ბაზარზე შესაძლებლობების თანასწორობას გულისხმობს. იგი ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მხრიდან ბაზრის ცალკეული სუბიექტების სუბსიდირებას, შედავათიან დაბეგვრას, მათ დაცვას უცხოელი ან ადგილობრივი კონკურენტისაგან. ეს აბსოლუტურად მისაღები და გამართლებული ხედვაა, რომ არ იყოს ერთი სერიოზული “მაგრამ”. ეს “მაგრამ” ეკონომიკური პროცესების გლობალიზაციაა. დღეს თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების პირობებში ფინანსური, ან ეკონომიკური საზღვრების ცნება სულ უფრო მეტად კარგავს თავის თავდაპირველ, კლასიკურ გაგებას. კაპიტალისა და საქონლის ნაკადები სულ უფრო თავისუფლად გადაადგილდებიან. როდესაც საუბარი ბაზარზე კონკურენციას შეეხება, რატომდაც ხშირად ეს ფაქტორი მეორე პლანზე გადადის. ლიბერალიზმის მომხრენი თვლიან, რომ ბაზარზე მონოპოლიები მხოლოდ სახელმწიფოს ჩარევის შედეგად იქმნება, და თუ სახელმწიფო თავს შეიკავებს ბაზრის ფუნქციონირებაში ჩარევისაგან, შესაბამისად არც მონოპოლიები გვექნება (სხვათა შორის ეს აზრი გატარებულია ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის “შემცვლელ” “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობის შესახებ” საქართველოს კანონშიც).

ეველა სხვა ფაქტორს რომ თავი დავანებოთ, გლობალიზაციის პირობებში თუ ეველა სახელმწიფო, ან უკიდურეს შემთხვევაში ის სახელმწიფოები მაინც, რომლებიც ჩვენი უმთავრესი სავაჭრო პარტნიორები არიან, თავიანთ სამოქმედო გეგმად არ აღიარებენ იგივე პრინციპებს, არ შეწყვეტენ დარგებისა და საწარმოების სუბსიდირებას, შედავათიან დაბეგვრას, არ გაამარტივებენ ლიცენზირებისა და ნებართვების სისტემას, არ მოხსნიან საქონლის ნაკადებზე არასატარიფო და სატარიფო ბარიერებს, ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა ცალ კარში ფეხბურთის თამაშს დაემსგავსება და თანაც ისე რომ მეკარეს თვალები და ხელები აქვს აკრული. იმისათვის, რათა მსოფლიოში ევოლუციურად მოხდეს საგარეო ვაჭრობის სრული ლიბერალიზაცია, მოიხსნას სატარიფო და არასატარიფო ბარიერები, შეიქმნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO) რომლის წევრიც საქართველო უპე 13 წელია. სწორედ WTO -ს წევრობა ავალდებულებს საქართველოს, მოახდინოს ვაჭრობის ლიბერალიზაცია.

ზემოთაღნიშნული არ ნიშნავს, რომ ჩვენ ან პროტექციონიზმს უნდა დაგუბრუნდეთ, ან ჩავკეტოთ ეკონომიკა, მოვახდინოთ საქართველოს ეკონომიკის “კუბიზაცია” ან ჩრდილოეთ კორეას მივბაძოთ, მაგრამ ის რომ ბიზნესი და სამომხმარებლო ბაზარი არასამართლიანი კონკურენციისა და დემპინგური ფასებისაგან უნდა დავიცვათ, ორმხრივი და მრავალმხრივი მოლაპარაკებებით გიბრძოლოთ ჩვენთვის საინტერესო ბაზრებზე მისაღები პირობებით მოხვედრისათვის, ეჭვს არ უნდა ბადებდეს.